პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

წითელ-არმიელი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველ დღიური
ორგანო
—
წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.
—
დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები:
ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—50 კ., 3 თვით—1 მ. 50.
6 თვით—2 მ. 50 კ. 12 თვით—5 მ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—40 კ. 3 თვით—1 მ. 10 კ.
6 თვით—2 მ. ერთი წლით 3 მან. 80 კ.
განცხ. ფ-სი 1 გვ —80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

109 (1104)

ხუთშაბათი, 20 მაისი 1926 წ,

109 (1104)

ცვალებადელო, მჭიდროთ დაუკავშირდი შენს გაზეთს.

გაზეთი უახლოესი მეგობა- ია წითელ არმიელის. ის სა- კეთესო დამხმარეა მის სამხე- რო პოლიტიკურ სწავლებაში. აზეთი სარკეა ჩვენი წითელი არის ცხოვრებისა. ამიტომაც ოველი ცვალებადელი--წითელ რმიელი მოვალეა ამ თავითვე უკავშირდეს ჩვენს გაზეთს. ალწვეულ ცვალებადელმა სი- ტემატიურად უნდა მოიწეროს მის შესახებ, თუ როგორ მი- ის სამხედრო და პოლიტმე- ადინეობა, რა მიღწევებია ამ რივ, რა ნაკლია და სხვა.

გაზეთი მას დაეხმარება ყვე- ა შეცდომების გასწორებაში მიღებულ ცოდნის გაფარ- ოვება—გაღრმავებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა ერიტორიალურ შეკრების როს ცვალებადელების კავში- ი ჩვენს გაზეთთან მოიკოჭ- ებდა.

ცვალებადი წითელი არმიე- ები ნაკლებად სწერდენ თა- ს გაზეთში და როცა ტერ- კრება დასრულდა სულ მთ- ად მიატოვეს წერა.

რასაკვირველია ეს არა ნორ- ლური მდგომარეობა ამ თა- თვე უნდა იქნეს აცილებუ- ი.

ეს კი სავსებით დამოკიდე- ული არის ჩვენი ახალწვეულ ვალებადელების მონდომები- გან.

ისინი უნდა გახდენ ჩვენი ზეთის აქტიური მკითხველი, სი აქტიური თანამშრომელი და აქტიური გამავრცელებელიც. ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა არა თუ ტერშეკრების დროს,არამედ ტერშეკრების შემდეგაც.

ტერშეკრების დასრულება ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცვალებადელმა უკვე მოიხადა სამხედრო ბეგარა, შეისწავლა სამხედრო საქმე და მით ყველაფერი გაათავა. სრულიადაც არა. ცვალებადელი—წ. არმიელი ტერშეკრების შემდეგაც რჩება სამხედრო ვალდებულად და მის ძირითად ამოცანას შეადგენს ტერშეკრებათა შორის ყოველ მხრივ გაღრმავოს და გააფართოვოს ტერშეკრების დროს მიღებული სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა. ამაში მას დიდ დახმარებას გაუწევს „წითელ არმიელი“, რომლის საშუალებით ცვალებადელი მუდამ კარგათ გაცნობილი იქნება წითელი ჯარის მიმდინარე მუშაობასთან.

მეორეს მხრივ ჩვენი გაზეთის გავრცელება მოსახლეობაში—დიდ ნაყოფს მოიტანს მშრომელთა გასამხედროების საქმეში.

ყოველივე ეს კარგათ უნდა შეიგნოს ახალგაზრდა ცვალებადელმა.

და კიდეც უნდა გაატაროს ცხოვრებაში. ე. ი. გახდეს თავის გაზეთის „წითელ არმიელი“-ს უახლოესი თანამშრომელი და მისი აქტიური გამავრცელებელი.

ბურჟუაზია და განიარაღება

ჟენევაში (შვეიცარია) გაიხ- ა კონფერენცია განიარაღე- ს საკითხის„მოსაგვარებლად“. პიტალისტური სახელმწიფო- ის წარმომადგენლები კიდევ თხელ იკრიბებიან, რათა შე- ვირონ შეიარაღებები და მით ზრუნველყონ ზავი და მშვი- ობიანობა ევროპაში. მართა- ია ეს? მართლადაც სურს პიტალისტურ მტაცებლებს იარაღების შემცირება, იმპე- ალისტურ პოლიტიკაზე ხე- ის აღება?

რასაკვირველია არა. ასეთი ნიარაღების კონფერენციები თ ბევრჯერ მოიწვიეს, მაგრამ იარაღების ზრდა ოდნავადაც შემცირებულა.

ასე იყო მაგალითად ქ. ვა- ნგტონში (ამერიკა) 1922 ელში, სადაც იგივე კაპიტა- ისტური ქვეყნების წარმომა- გენლები შეიყარნენ, ილაყ- განიარაღების საჭიროების სახებ, დადგენილებებიც გა- იტანეს, მაგრამ ცხოვრება- ი არც ერთი დადგენილება გაუტარებიათ. სამხედრო იარაღებამ მას შემდეგ არამც თუ იკლო, პირიქით ერთი ორად იმატა. მაშ რა მიზანი აქვს ასეთ კონფერენციებს? მუშათა კლასისათვის თვალის ახვევა და მეორე მხრივ ერთმანეთის მოტყუილება. ამ კონფერენციებზე თითეული სახელმწიფოს წარმომადგენელი სცდილობს, როგორმე მეორე სახელმწიფო მოატყუილოს, და ისეთი დადგენილება მიიღებინოს, რომ შემცირდეს მისი შეიარაღება. ცხადია ყველა წარმომადგენლები სცდილობენ ერთმანეთი მოატყუილონ. ბოლოს და ბოლოს მათი მოლაპარაკება მხოლოდ წყლის ნაყვაა, ხოლო მოტყუილებული მშრომელი ხალხი რჩება. ჟენევის კონფერენციაზე იმპერიალისტურ სახელმწიფოებმა საბჭოთა კავშირიც მიიწვიეს. მაგრამ რა მიზნით ქნეს ეს? მათ კარგად იცოდენ, რომ საბჭოთა კავშირი თავის წარმომადგენელს იმ სახელმწიფოში არ გაგზავნის, რომელმაც უტიფრად გაანთავისუფლა ამხ. ვოროვსკის მკვლელი. საბჭოთა მთავრობამ ჟენევაში წასვლაზე უარი განაცხადა და მოითხოვა სხვა სახელმწიფოში კონფერენციის მოწვევა.მაგრამ კაპიტალისტები არ დათანხმდენ. რატომ? იმიტომ, რომ მათ სრულიად არ სურთ საბჭოთა კავშირი მართლადაც რომ დაესწროს ამ კონფერენციას, ვინაიდან მაშინ გამოაშკარავდება მთელი მათი თვალთმაქცობა და სიცრუე. რომ ეს „განიარაღების“ კონფერენცია უბრალო ლაყბობაა და არავითარ განიარაღებას არ ისახავს ამას ამტკიცებს კიდევ ერთი ფაქტი. აი რა წამოცდა ამერიკის ელჩს ხოუტაინს ლონდონში, როცა ის მოხსენებას აკეთებდა ამ განიარაღების კონფერენციის მნიშვნელობის შესახებ: „ჟენევაში შეიკრიბება მოსამზადებელი კონფერენცია განიარაღების საკითხის მოგვარების მიზნით წინადადებების განსახილველად, რომლებზედაც შეთანხმება სრულიად არ არის სასურველი და არ იქნება მიღებული; ის იკრიბება იმ მიზნით რომ დამთავრდეს უნაყოფოდ“.

განმარტება ზედმეტია.

არავითარი მნიშვნელობა ჟენევის კონფერენციას არ მოყვება. პირიქით მსოფლიო ბურჟუაზია კიდევ უფრო გააძლიერებს თავის სამხედრო ძალებს.

ჟენევის ლაყბობა კიდევ ერთხელ გვეუბნება ჩვენ, რომ ფრთხილად ვიყვეთ საბჭოთა ქვეყნის სადარაჯოზე და ყოველ მხრივ ვიზრუნოთ წითელი არმიის საბრძოლო უნარის ამაღლებაზე და მისი რიგების განმტკიცებაზე.

—მ.

ახალი რადიო ამბები

რა დაუჯდა ინგლისს გაფიცვა

ინგლისის თემთა პალატაში ფინანსთა მინისტრ ჩერჩილმა განაცხადა:

„საბოლოო ანგარიშით საყოველთაო გაფიცვა დაუჯდება ინგლისის სახელმწიფო სალაროს 750 ათასი გირვანქა სტერლინგი (სტერლინგი დაახლოებით უდრის 10 მანეთს).

ამ ციფრში არ შედის ხარჯები, რაც გამოიწვია ჯარების და პოლიციის გაძლიერებამ გაფიცვების დროს.

განიარაღების კონფერენცია

18 მაისს ჟენევაში გაიხსნა წინასწარი განიარაღების კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო ერთა ლიგის მიერ. კონფერენციაში მონაწილეობს 20 სახელმწიფო, მათ რიცხვში—შეერთებული შტატები და გერმანიაც.

ინგლისის ხელი.

ლიტვის გაზეთების ცნობით, პოლონეთში გადატრიალება მოხდა ინგლისის გავლენით.

პილსუდსკის დიქტატურა—გაზეთების აზრით—არაფერს კარგს არ უქადის პოლონეთის მეზობლებს და საფრთხეს უმზადებს მშვიდობიანობას აღმოსავლეთში.

სანაპირო განხეთქილება პოლონეთსა და ლიტვას შორის

14 მაისს პოლონეთის სანაპირო რაზმის ერთი ჯგუფი გადავიდა ლიტვის ტერიტორიაზე.

ლიტვის მთავრობამ ამის გამო საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ერთა ლიგას.

საქართველოში.

აგურის ახალი ქარხანა

ბორჯომის აღმასკომი შეუდგა აგურის ქარხნის აშენებას ქალაქ გარედ.

სასოფლო სამეურნეო გამოფენა ტფილისში

გასართობი გამოფენაზე.

ტფილისის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე მოწყობილ იქნება სხვა და სხვა სახის გასართობი. ყოველდღიურად დაუკრავს ორი ორკესტრი—სიმებიანი და სასულე. გამოფენაზე მოწყობილ იქნება აგრეთვე კინო.

საგამოფენო კომიტეტის მიერ მიღებულია ზომები, რათა საზოგადოებას გაუადვილდეს გამოფენაზე მისვლა. გამოფენის გახსნის დღიდან მთელი დღეების განმავლობაში იმუშავებენ ტრამვაის სპეციალური ვაგონები ერევნის მოედნიდან გამოფენის ადგილამდე.

დაინტერესებული არიან საქართველოს მატყლითა და კრაველით

საფრანგეთის მრეწველები და ვაჭრები მეტად დაინტერესებული არიან საქართველოს მეცხვარეობით და კრაველის დამზადებით. ერთმა სასოფლო-სამეურნეო ჟურნალმა ორი ნომერი მიუძღვნა სრულიად ამ საკითხს.

საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობა საფრანგეთში სთხოვს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მიაწოდოს ამ საკითხზე ამომწურავი ცნობები.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მიანდო საქმის მცოდნე პირებს შეადგინონ დაწვრილებითი მოხსენება ამ საკითხზე.

ჭიათურა-ფოთის რკინის გზის ხაზი

ლონდონიდან ჭიათურაში გამოემგზავრა 16 ინჟენერი საჩხერესა და ფოთს შორის ადგილის ასაგეგმავად რკინისგზის ხაზისთვის. განზრახულია ძველი ხაზის გადაუნაცვლებლად გაყვანილ იქნას რკინისგზის მეორე ხაზი.

ბაგირის გზები

ჭიათურის რაიონში დამთავრდა ბაგირის გზის გასაყვანი ხაზის აგეგმვა. გზა უნდა გავიდეს პერევისისა და სხვა რაიონებში. ბაგირის გზის მოსაწყობი მასალა დაკვეთილია გერმანიაში და მიიღება თვენახევარში.

საკუთარის ძალებით

ოზურგეთის თემის საბჭოს საალმშენებლო სექცია შეუდგა სასოფლო გზის გაყვანას ოზურგეთიდან სოფელ ჭალაში. გზას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება იმ რაიონისთვის, რომელზედაც ის გაივლის. მუშაობა სწარმოებს გლეხების ხარჯზე.

ჩაის ფაბრიკები

სააქციონერო საზოგადოება—„საქართველოს ჩაი“-მ დაასრულა ჩაის 2 ფაბრიკის აგება სოფელ აცანასა და მიქელ გაბრიელში (ოზურგეთის მაზრაში).

აჭარისტანში, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებში მოწყობილია საცდელი მინდვრები. საზოგადოება აწყობს ექსპედიციას ჩინეთსა და სხვა ადგილებში ჩაის საქმის შესასწავლად.

სასოფ. სამეურნ. სკოლების ქსელის გაფართოება

მომავალ სამოსწავლო წლიდან რესპუბლიკის თვითეულ მაზრაში გახსნილ იქნება კიდევ დამატებით თითო სასოფლო სამეურნეო სკოლა.

ტყვარჩელის ქვანახშირი

სსრკ-ს უმაღლეს სამეურნეო საბჭომ მიიღო ზომები ტყვარჩელის ქვანახშირის ღირსების გამოსაკვლევად. ნახშირის ღირსებისა და მარაგის გამოკვლევა გადასჭრის ტყვარჩელის ნახშირის მომავალ დამუშავების ბედს. სწარმოებს მუშაობა და ახლო-მომავალში დამზადებულ უნდა იქნას 16 ათასი ფუთი ნახშირი, რომელიც უნდა გაიგზავნოს იუზოვის ქარხანაში გამოსაცდელად.

სასოფლო-სამეურნეო განათლება

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი აწყობს დაბალ სასოფლო-სამეურნეო სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებს. კურსები გათვალისწინებულია 50 კაცისთვის.

გლეხკომების ხელახალი არჩევნები

მთელს საქართველოში ამ დღეებში იწყება გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების გამგეობათა ხელახალი არჩევნები.

საქართველოს უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დაუგზავნა აღმასკომებს ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაატარონ არჩევნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანძრის თავიდან ასაშორებლად

მიწა-ტყის კავშირის ოზურგეთის განყოფილებამ დაიწყო გურიის ტყეების გაწმენდა ხანძრის თავიდან ასაშორებლად. მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ტყის რაიონებში მოსახლე გლეხები.

ამინდი და ნათესების მდგომარეობა

ლიუქსემბურგი.

ერთი კვირაა წვიმა მოდის. ნათესების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ზოგიერთ ადგილას წვიმას უკვე აღარ შეუძლია ნათესების გამობრუნება, ვინაიდან პურმა უკვე იწყო თავთავის ამოღება.

ახალსენაკი.

წვიმიანი ამინდი დადგა. განახლდა მუშაობა მინდვრად. უკვე დაიწყო სიმინდის თესვა.

ოზურგეთი

მეხუთე დღეა წვიმა მოდის. მინდვრებსა და ბოსტნებში განახლდა მუშაობა. გოლვიან ამინდებში დათესილი სიმინდი უკვე ამოვიდა.

საკოოპერაციო თათბირი

გაიხსნა ლიუქსემბურგის მაზრის საკოოპერაციო თათბირი. მონაწილეობას ღებულობენ ძირა კოოპერაციისა და სამაზრო საკოოპერაციო ცენტრების წარმომადგენლები.

აჭარისტანში

გზების შეკეთება.

ქედის სამაზრო აღმასკომი შეუდგა ზამთრის პერიოდში გაფუჭებულ გზების შეკეთებას.

საზაფხულო საძოვრებზე

საკანტროლო სავეტერინარო წერტების ცნობით 15 აპრილიდან 15 მაისამდი საზაფხულო საძოვრებზე გარეკილ იქნა 14 ათას 159 სული მსხვილი რქოსანი საქონელი.

ელექტრო-ტეხნიკური ლაბორატორია

ლენინის სახელობის მუშათა ტეხნიკუმთან მოწყობილია ელექტრო-ტეხნიკური ლაბორატორია პრაქტიკულ მეცადინეობისთვის.

ნავთის ნაწარმოების გატანა

უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში საზღვარ-გარედ გაგზავნილია 11.100 ტონა ნავთი და 4.500 ტონა ბენზინი (ტონა უდრის 61 ფუთს).

მოსახლეობის მოძრაობა

უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ბათუმში მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა ათასი კაცით. ამ ხნის განმავლობაში შემოვიდა ბათუმში 3 ათას 646 კაცი, გავიდა—-2.645.

ბრძოლა სეტყვის წინააღმდეგ

აჭარისტანის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიძინა საზღვარგარედ 500 ცალი სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნა.

კომკავშირის დამხმარე ჯგუფების მუშაობის გადასინჯვის გამო

ნაწილებში უკვე დაიწყო კომკავშირის დამხმარე ჯგუფების მუშაობის გადასინჯვა. ჯგუფის ორგანიზატორები გამოდიან საანგარიშო მოხსენებებით და ჯამს უკეთებენ გასულ მუშაობის მიღწევებს, აღნიშნავენ ნაკლს და მომავალ მუშაობის გამოცოცხლების მიზნით არკვევენ იმ ამოცანებს, რომლებიც სდგას კომკავშირის ორგანიზატორის წინაშე.

მე-XIV პარტყრილობამ კომკავშირის წინაშე წამოაყენა ახალი ამოცანები. ამოცანების შესრულებას ყრილობა აკისრებს კომკავშირის უჯრედს როგორც ქალაქად და სოფლად, ისე წითელ არმიაშიაც. ჩვენი ჯარის დამხმარე ჯგუფების წევრები უმეტეს შემთხვევაში შესდგებიან სოფლის უჯრედის წევრებისაგან და ამიტომ ნაკლი სოფლად, რომელიც თან ახლდა კომკავშირის წევრებსა და მთლიანად უჯრედს, გადმოტანილ იქნა წითელ არმიის ცხოვრებაში.

ყველა ეს ამოცანები, რომლებიც კომკავშირის ორგანიზაციის წინაშე სდგას, მოითხოვს მეტ ყურადღებას ხელმძღვანელების და კომკავშირის დამხმარე ჯგუფის თავის სიმაღლეზე დასაყენებლად.

მე-14 პარტყრილობამ აღნიშნა კ. კავშირის დიდი ზრდა განსაკუთრებით გლეხური უჯრედების; დისციპლინის შესუსტება და შემადგენლობის ცვალებადობის ზრდა; წინააღმდეგობანი არსებულ მუშაობის ფორმებს, შინაარსსა და მეორეს მხრივ, სამეურნეო ზრდაზე დამყარებულ მიმდინარე მოთხოვნილებებს შორის; წინააღმდეგობა კავშირისა და პიონერთა ორგანიზაციის უზარმაზარ ზრდასა და რიცხობრივად თვისებრივად არა საკმაო ხელმძღვანელობის შორის. ყრილობა აღნიშნავს, რომ კომკავშირის ორგანიზაცია თანდათან იზრდება ახალი წევრებით, რომლებიც აყენებენ კავშირის წინაშე საკითხებს, რომლებიც მოითხოვენ, რათა კომკავშირის ორგანიზაციაში და კერძოთ, წითელ არმიაში, დამხმარე ჯგუფების დღის წესრიგი დაკავშირებული იყოს მატერიალურ კეთილდღეობის მოთხოვნილებასთან. ხელი უნდა შეეწყოს კომკავშირის მასის ახალი აქტივის წამოყენებას და შინა-დემოკრატიზმის გატარებას, რათა კომკავშირის დამხმარე ჯგუფი გახდეს ნამდვილი საუკეთესო თანაშემწე პარტიისა—პარტიული ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად უპარტიო წითელ არმიელთა მასაში.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირში მუშაობის დროს ორგანიზატორის და საერთოთ, ხელმძღვანელების მიერ იმ გარემოებას, რომ კომკავშირის წევრს წითელ არმიაში შეეძლოს კავშირის გამტკიცება კულტურულ, სამეურნეო, პოლიტიკურ და სამხედრო მუშაობას შორის.

კომკავშირში ყოველგვარ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს ინტერნაციონალური, რევოლიუციონური აღზრდა.

ლენინიზმის შესწავლა და ყოველგვარ გადახრებთან ბრძოლა მიჩნეულ უნდა იქნას დამხმარე ჯგუფების წევრების აღზრდის მთავარ საშუალებათ.

მთელი მუშა ახალგაზრდობა ჩაბმულ უნდა იქნას კავშირში და ამაღლებულ იქნას დამხმარე ჯგუფის ავტორიტეტი უპარტიო წითელ არმიელთა მასაში. ავტორიტეტის მოპოება დამხმარე ჯგუფს მაშინ შეუძლია, როცა თვითეული წევრი კავშირის შიგნით და გარეთ სამაგალითო წითელ არმიელი იქნება.

კომკავშირელმა თავისი მაგალითით უნდა დააინტერესოს უპარტიო წითელ არმიელი და გახდეს მისი მისაბაძი მაგალითი.

დამხმარე ჯგუფის ყოველგვარი მუშაობა მოითხოვს მეტის მეტად ფრთხილს, დაკვირვებულს და სერიოზულ მიდგომას.

ტ. მამალაძე.

სამხედრო სწავლება ბანაკში

საველე მომზადება

როგორ სწარმოებს დასასვენებელ ჯარების დაცვა

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ დასვენებულ ჯარების დაცვა უზრუნველყოფს მათ მტრის მოულოდნელ თავდასხმისაგან, არ მოუშვებს ახლოს მტრის მძიებლებს და თავის დროზე გაიგებს მტრის შემოტევას ცეცხლით, ჰაერით და ქიმიური საშუალებებით.

დაცვის სამსახურში დასვენებული ნაწილი გამოჰყოფს თავის შემადგენლობიდან არა უმეტეს დასასვენებელ ნაწილის ერთი მესამედისა.

მაგალითად: ლეგიონი გამოჰყოფს ერთ ათასეულს, ჰყოფს მოსათავსებელ უბანს ასეულების დასაცავ უბნებად, რომლებიც თავის მხრივ იყოფა ოცეულის უბნებად.

ასეულისა და ოცეულის მიერ დაკავებული მთელი ზოლი იყოფა დაცვისა და წინააღმდეგობის ზოლებად. ეს ორი ზოლი ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, რომ დაცვის ზოლის ამოცანაა დაუხვდეს მტრის მზვერავებს და თავისი ცეცხლით უკუაგდოს მათი მცირე ჯგუფები; წინააღმდეგობის ზოლის ამოცანაა შეაჩეროს მტრის შემოტევა იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა დასვენებულ ნაწილების საბრძოლოდ მოსამზადებლად.

წინ მდებარე ადგილზე განუწყვეტლივ თვალყურის სადევნებლად, ოცეულის შემადგენლობიდან გამოიყოფა მოდ რაჯე ათეულები. ეს ათეულ ბი იკავებენ ისეთ ზღვარსა ადგილობრივ საგნებს, საიდ ნაც უფრო მოხერხებული ი ნება ადგილ-მდებარეობაზე თვ ლყურის დევნება როგორც წი ისე ორივე მხარეებზე.

ჩვენს დღევანდელ ოცეულ შეუძლია გამოჰყოს ამ მიზნ არა უმეტეს 3 განყოფილების დარჩენილი ათეულები (მ შორის სატყვიამფრქვევო) შ ადგენს ოცეულის ბირთვს,რ მელმაც თავის ძალებით უნ აწარმოოს თავისი უბნის ზვე ვა—ძიება. მოდარაჯე ათეულ ბი არ უნდა მოშორდენ ბირ თვსა და ერთი-მეორეს 400-500 მეტრის მანძილს ზევით ე. ი. ყოველთვის უნდა იმყ ფებოდენ პირდაპირი გასრ ლის მანძილზე. მოდარაჯე ათ ულები და აგრეთვე ოცეულ ბირთვი უნდა მოთავსდენ უბა ზე ისე, რათა არსად არ და ჩეს ყრუ ადგილი. წინააღმდ შემთხვევაში მტერს შეუძლ თავს დაესხას დამცველ ჯგ ფებს, შეიჭრას დასვენებულ ნ წილების უბანში, შემუსრო ისინი, ანდა უკიდურეს შემ ხვევაში, ყველაფერი დაათვ ლიეროს და გადასცეს თავ ნაწილებს ცნობები ჩვენი ლებისა და მოთავსების შე ხებ.

ი. ბ.

ძიება არმიის თვალი და ყურია

როგორ უნდა მოეწყოს ძიება

რომ ძიება წარმატებითი იყოს, მისი მოწყობის დროს საჭიროა: 1) გამოყოფილ იქნას ძალებისა და საშუალებათა საკმარისი რაოდენობა დაკისრებულ ამოცანის ასასრულებლად, 2) მომარაგებულ იქნას მძიებლები ყიბლანებით, დურბინდებით, რუქებით, დამცველი ფერის ხალათებით და გარდა ამისა ზამთრით,—თხილამურებითაც.

გასვლის წინ მძიებლები დაყოფილ უნდა იქნან მზვერავებად, დაინიშნოს მზვერავთა უფროსები, მორბედები და სხვა. მძიებელ-მზვერავებს უნდა მიეცეს განსაზღვრული ამოცანა, რომლის შესრულებაშიაც ის პასუხისმგებელი იქნება. ყველა დანარჩენ ცნობებს მზვერავები შეჰკრებენ გზა და გზა, მაგრამ ისე კი არა, რომ ამ ცნობების შეკრებამ რაიმე ზიანი მიაყენოს მთავარ ამოცანას.

გასვლის წინ მზვერავთა შემადგენლობა გაცნობილ უნდა იქნას ყველა ცნობებს მტრისა და თავის ნაწილების შესახებ. თავის ნაწილების შესახებ ცნობები მძიებლებისთვის აუცილებელია იმისთვის, რომ ხშირად მძიებელი მიიღებს ცნობას მტრის რაიმე განზრახვის შესახებ ჩვენს მეზობლად მოთავსებულ ნაწილის მიმართ. ასეთ შემთხვევაში მძიებლის მოვალეობაა თავის დროზე გააფრთხილოს მეზობელი ნაწილი მის წინააღმდეგ მოსალოდნელ მოქმედების შესახებ. ხოლო იმისთვის კი, რომ მეზობლის ძებნამ დიდი დრო არ წაიღოს, ძიებაში გასვლის წინ უნ იცოდენ—სად იმყოფება მეზ ბელი ნაწილები და საითაა გზავნილი მათი მძიებლები.

დასმენას, ანუ ცნობის წოდებას მაშინ აქვს ღირებ ლება, როცა ის სწორია თავის დროზე გადაეცემა უ როსს.

ძიების სამსახური მეტად მძლეელია და არ შეიძლ დიდხანს იქნას გაგრძელებ ლი. ამიტომ საჭიროა ერ ჯგუფის მეორეთი შეცვლა. ცვლა სწარმოებს ისე, რომ ება ერთი წუთითაც არ სწყ ბა, ამისთვის თვითეულ მძ ბელ ჯგუფს დაენიშნება დრ თუ როდის და სად უნდა ბრუნდეს, ხოლო მის მაგ რად უფროსი ნიშნავს მეო ჯგუფს. უფროსის მიერ და ნიშნულ დროზე უფრო ად დაბრუნება მძიებლებს არ უძლიათ.

მაშასადამე, საძიებლად გ ვლის წინ მძიებელმა უ იცოდენ: 1) მათზე დაკისრე ლი ამოცანა; 2) ცნობ მტრისა და საძიებელ რაიო მცხოვრებთა პოლიტიკურ გომარეობის შესახებ; 3) იმყოფება მეზობელი ნაწი ბი; 4) სად და ვის უნდა გზავნოს დასმენა; 5) რო უნდა მოიხსნას მძიებელი 6) სად უნდა დაბრუნდენ.

ამასთან უნდა გვახსოვ რომ თუ უფროს გაავ ზემოაღნიშნულებიდან რა გადაცემა, მძიებლები ვალ ბული არიან მოაგონონ ამის შესახებ.

ი.

ხელის ტყვიამფრქვევის საბრძოლო მნიშვნელობა

საბრძოლო თვისებები

ლიუისის სისტემის ხელით სასროლ ტყვიამფრქვევის მთავარი საბრძოლო თვისება ისაა, რომ მას შეუძლია სწრაფი სროლის წარმოება. მას შეუძლია გაისროლოს წუთში 250 ცალი ტყვია. ბრძოლაში ამ ტყვიამფრქვევით შეიძლება მხოლოდ 100—125 ცალი ტყვიის გაშვება წუთში, ვინაიდან საბრძოლო გარემოება მოითხოვს ხშირად სროლის შეჩერებასა და მიზნის გამოცვლას. მაგრამ ხელით სასროლო ტყვიამფრქვევი მაინც ძლიერი ცეცხლის იარაღია.

მისი მეორე თვისება ისაა, რომ ის დაზგის ტყვიამფრქვევზე გაცილებით მსუბუქია. ამ სიმსუბუქის გამო, ხელით სასროლი ტყვიამფრქვევით ადვილად შეიძლება მოძრაობა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა თვით ახლო ცეცხლის დროსაც კი.

ხელით სასროლი ტყვიამფრქვევი ადვილი მოსათავსებელია ადგილზე, ვინაიდან ის შედარებით პატარა ზომისაა.

ხელით სასროლ ტყვიამფრქვევს არ აქვს დაზგა, ამწევი და მომბრუნები მექანიზმი, რისთვისაც მოხვედრის სიმარჯვე ნაკლებია დაზგის ტყვიამფრქვევთან შედარებით.

ვინაიდან 1200—1500 ნაბიჯზე უფრო შორს მოხვედრის სიმარჯვე საეჭოა, მას ხმარობენ უფრო ახლო მანძილზე. მაგრამ ახლო მანძილზედაც სროლის სიმარჯვე დამოკიდებულია მსროლელის სიმარჯვესა და ნერვებზე.

საბრძოლო გამოყენება

თავისი ძლიერი ცეცხლით მას შეუძლია სამსახური გაუწიოს მცირე ნაწილებს, მაგალითად ათეულს, ყოველგვარ საბრძოლო გარემოებაში.

ხელით სასროლ ტყვიამფრქვევთა განყოფილება შეიძლება გაგზავნილ იქნას ახლო ძიებაში, როცა მტერი ახლო მანძილზეა. ის მოულოდნელ შიშს იწვევს მტრის მცირე ნაწილებში და ჯავშნოსნებსაც კი აზიანებს.

საველე სადარაჯოში ხელით სასროლი ტყვიამფრქვევი შეუდარებელია. როცა სადარაჯო განყოფილებას თან აქვს ხელით სასროლი ტყვიამფრქვევი, ის ადვილად გაუსწორდება მტრის მძიებლებსა და შეაჩერებს შეტევაზე გადმოსულ ნაწილებს.

ლაშქრულ მოძრაობის დროს ხელით სასროლი ტყვიამფრქვევი (დამცველ განყოფილებაში) ადვილად შემუსრავს თავის ცეცხლით მტრის მოწინავე ნაწილებს და გასწმენდს გზას.

შეტევის დროს ხელისტყვიამფრქვევით სროლა იწყება მხოლოდ 1200 ნაბიჯიდან. ხელის ტყვიამფრქვევთა განყოფილება გადადის შეტევაზე მსროლელ განყოფილებასთან ერთად და თავისი ძლიერი ცეცხლით ეხმარება მას. რამდენადაც შეტევაზე გადასული ნაწილები უახლოვდება მტერს იმდენად მეტი საჭიროა ხელის ტყვიამფრქვევის ცეცხლი. ვინაიდან მძიმე ტყვიამფრქვევები ვერ სდევენ მსროლელებს. იერიშის მომზადება მეტ ნაწილად სწარმოებს ხელის ტყვიამფრქვევით.

მოგერიების დროს კარგად დადგმული და შენიღბული ხელის ტყვიამფრქვევი 1500 ნაბიჯზე შემუსრავს მტერს. რამდენად ახლო, იმდენად გამანადგურებელი იქნება ტყვიამფრქვევის ცეცხლი. მისი დაზიანება, როცა შეუმჩნევიაა, მეტად ძნელია. იერიშის მოგერიების დროს ხელის ტყვიამფრქვევი უკანასკნელი სწყვეტს სროლას.

ხელის ტყვიამფრქვევი მეტად ძლიერი იარაღია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მისი დამმიზნებელი გამოცდილი, მაგარ ნერვებიანია და კარგად ესმის თავისი საქმე.

„ქ. ვ.“ ო—ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერშეკრების პირველი დღეები

ყველანი გამოცხადდენ.

მე 4 ლეგ. 8 ასეული.

ასეულის შემადგენლობა ადრე შეუდგა ცვალებადელების მისაღებათ სამზადისს. ყოველგვარი ზომები იყო მიღებული, რომ წარმატებით ჩატარებულიყო ეს გამოწვევა და ასედაც მოხდა. დახარჯულ ენერგიას უქმად არ ჩაუვლია. ასეულზე მიწერილი ახალგაზრდობა უკლებლად გამოცხადდა.

12 მაისს ასეულის ყაზარმის ეზო გაიჭედა ცვალებადელებით, გაიმართა ცეკვა-თამაში, შაირების თქმა და ჰიდაობა. ცვალებადელები ლაღობდენ.

13 მაისს დილით ადრე გამოცხადებული ამხანაგები ჩამწკრივდენ რიგში და ლაშქრული წესით გავეშურეთ ბორჯომის სადგურისაკენ, რომ იქედან გამგზავრებულიყავით ლეგიონში. გზადაგზა სიმღერითა და ყიჟინით მიდიოდენ ახალგაზრდა ცვალებადელები. მასხრობასა და მხიარულებას საზღვარი არ უჩნდა. კადრის წითელ არმიელები გზაშივე აძლევდენ დარიგებებს ცვალებადელებს თუ როგორ უნდა მოიქცენ და შეეგებონ სამხედრო მეცადინეობის დაწყებას, რა არის სამხედრო დისციპლინა, რა სასჯელი მოსდევს მის დარღვევას და რა მნიშვნელობა აქვს მას ჯარის კულტურულად აღზრდის საქმისთვის. ასეთი საუბრით გავიარეთ მთელი გზა ლეგიონის ბინამდე, სადაც მისალმებით შამოგვეგება ლეგიონის ბიურო-კოლექტივის მდივანი და ნაწილის მთელი შემადგენლობა.

17 მაისიდან უკვე დავიწყეთ მეცადინეობა. ლეგიონში თავმოყრილია ყველა წერტებიდან ჩამოსული ასეულები. ახალწვეულები გულმოდგინეთ ეკიდებიან მუშაობას. მოახდინეს მათი ჯგუფებათ დაყოფა ცოდნის მიხედვით. უცოდინარებს ამეცადინებენ დღეში 1 საათს. განზრახულია აუცილებლად მოხდეს მათი უცოდინარეობის ლიკვიდაცია.

პოლიტსაათები, რომლებიც ტარდება პროგრამის მიხედვით, მეტად აინტერესებთ წითელ არმიელებს. ითვისებენ კარგად და სცდილობენ რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ.

პატარავა.

გავეშურეთ ბანაკისაკენ.

მე-3 ლეგიონი.

13 მაისს ჩვენი ლეგიონიც გაეშურა ბანაკისაკენ.

წითელ არმიელების სიხარულს საზღვარი არ ქონდა. საერთო თავმოყრის ადგილზე მისვლა ყველას სიამოვნებდა, მით უმეტეს, რომ იქ პრაქტიკულად უნდა შევითვისოთ ყველა ის საგნები, რაც ყაზარმაში შევისწავლეთ თეორიულად ზამთრის განმავლობაში. ლეგიონს შამოუერთდა აგრეთვე პირველი მესანგრეთა ასეულიც. მატარებელში იშვიათი მხიარულება და სიმღერები გაჩაღდა.

ყველა სადგურებში სიცოცხლე შეჰქონდა ჩვენს მატარებელს.

გუგუნებდა ლეგიონის სამხედრო ორკესტრი და გვამხნევებდა ახალი მუშაობისა და ცხოვრების დაწყებისათვის. ასეთი განწყობილებით ჩამოვბარგდით უკანასკნელ სადგურზე, საიდანაც მწყობრად გავეშურეთ კარვებისაკენ.

ერთი თვის წინად გამოგზავნილ ლეგიონის ნაწილს პირნათლად შეუსრულებია დავალება. ბანაკი მშვენივრად მოწყობილი დაგვიხვდა. ყველაფერი მზამზარეული იყო.

მიძინებული მიდამო გამოცოცხლდა, ჩვენმა ორკესტრის ხმაურმა გაამხიარულა ბანაკი. უკვე შეუდექით ნორმალურ ცხოვრებას. მეორე დღიდანვე შევეცადეთ მახლობელ სოფლებთან კავშირის გაბმას. დაუკავშირდით ადგილობრივ სამოქალაქო უჯრედებს და გავაჩაღეთ გეგმის მიხედვით სამხედრო მეცადინეობაც.

საერთო განწყობილება კარგია წითელ არმიელებში. 1903 წელში დაბ. წითელ არმიელები კარგად შეეგუენ საველე ცხოვრებასა და მუშაობას.

ყოველგვარი იმედებია იმის, რომ წლევანდელი ბანაკობა დიდი წარმატებით დამთავრდება ჩვენი ლეგიონისთვის.

ბ. იოსელიანი.

სამოსწავლოთ გასვლა

1-ლი არტლეგიონის სკოლა.

ამ ორი დღის წინად, სკოლა დიდ მზადებას შეუდგა. დილიდანვე გაიცა ბრძანება გამოეგორებიათ ქვემეხები და სრული საომარი აღჭურვილობით მზად ყოფილიყვნენ კურსანტები. ბრძანება თვალის დახამხამებამდე იქნა შესრულებული. ყველა თავის ადგილზე იყო და უცდიდენ ხელმეორე განკარგულებას, რომელსაც დიდ ხანს არ დაჰგვიანებია.

ბრძანების თანახმად ლამაზათ დაწყობილი კურსანტები—ქვემეხებით გაუდექით გზას ველში სამოსწავლო სროლის საწარმოებლად.

კურსანტებისთვის არაჩვეულებრივი-სასიამოვნო დღეა სამოსწავლო სროლის დღე. ყველას უხარია ქვემეხზე მეცადინეობა—სროლაში დახელოვნება. ამიტომ იყო, რომ აღნიშნულ დღესაც არაჩვეულებრივი სიხარული იყო ამხანაგებში.

ქვემეხებს საკუთარი თავსავით უვლიდენ. როდესაც ერთი ქვემეხი გადაგვივარდა ხრამში გზის დაზიანების გამო, კურსანტები წელამდე ჩადგენ წყალში და ისე შველოდენ ცხენებს მის ამოსაგორებლად.

სროლა დიდი წარმატებით იქნა ჩატარებული. მეთაურმა მადლობა გადაუხადა კურსანტებს გულოდგინეობისათვის და ისე გამოვეშურეთ სკოლისაკენ.

მირზაიანცი.

საუბარი ცვალებად კომკავშირელებთან

18 მაისს მე-2 არტლეგიონში, ახლად მოსულ ცვალებად კომკავშირელებთან მოეწყო საუბარი მათი ჯარში მუშაობის დროს მოვალეობის შესახებ. საუბარი ჩაატარა პოლიტხელმა და დაწვრილებით შეეხო განსაკუთრებით დისციპლინის საკითხს. ამხანაგებს განუმარტა პოლიტხელმა, რომ თითეული მათგანი დისციპლინის და სხვა მოვალეობათა ასრულების დროს, კულტურულ, პოლიტიკურ და აღმზრდელობითი საკითხებში ყოველთვის მაგალითის მაჩვენებელი უნდა იქნეს დანარჩენ უპარტიო ცვალებადელებისათვის.

საუბარმა მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კომკავშირელებზე. მათ მრავალი პრაქტიკული ხასიათის შეკითხვები მისცეს პოლიტხელს და დასასრულ მონაწილეობა მიიღეს კამათშიც. თითეული მათგანი აღნიშნავდა მტკიცე დისციპლინის შექმნის საჭიროებას და სიტყვას იძლეოდენ, რომ პირადათ ისინიც შეუწყობენ ხელს მის განმტკიცებას.

კრებამ გამოაშკარავა, რომ ახლად მოსული ამხანაგები საკმაოდ მომზადებული და აქტიურები არიან, რომლებსაც კარგად ესმით თავისი პარტიული მოვალეობა.

სამხკორი კახიძე.

ჩვენი ახალი ძალები.

(სურათი).

15 მაისია, № ლეგიონის ეზო თანდათან ივსება გაზაფხულის მზით დამწვარ ქოჩორა ცვალებადელებით.

მოდიან ჯგუფ-ჯგუფად, ზურგზე საგზალ აკიდებული და მხიარული ყიჟინით.

მრავალი სხვა და სხვა სოფლიდან მოსულები ცნობილობენ ერთმანეთს, ესალმებიან.

უხარიათ, რომ ერთად ხვდათ წილად წითელ ყაზარმაში თავის შეყრ, მუშაობა და მეცადინეობა. ეს გარემოება კიდევ უფრო ამხიარულებს ეზოს.

ლეგიონის მეთაურები ჩარეულან ჭრელად გამოწყობილ გლეხის შვილებში და აქედანვე იმზადებენ ნიადაგს შემდეგი მუშაობისათვის. ეხლავე სწონიან თვალით, აძლევენ შეკითხვებს თუ როგორ უყურებენ ჯარში გამოწვევას, როგორი შთაბეჭდილებით მოდიოდენ ყაზარმაში, როგორ აცილებდენ მათ მშობლები და მრავალი სხვა.

კარგის მეტი აქ რა უნდა ვისწავლოთ. ასე გვეუბნებოდენ ჯარიდან დაბრუნებული წითელ არმიელები: წითელ ყაზარმაში თვალები აგეხილებათ იმდენ რამეს გაიგებთ, რასაც სოფლად თქვენს სიცოცხლეში ვერ წარმოიდგენთ და ვერ იხილავთო. ჩვენც ასე გვგონია და ეხლაც ვრწმუნდებით რომ ასე იქნება—უპასუხებს ერთ ერთ მეთაურს მოწითური ცოცხალი—მხიარული სახის ცვალებადელი.

— მამაჩემმა დამაბარა თუ წერა-კითხვა არ შეგისწავლია წითელ ჯარში—ისე სახლში არ მოხვიდეო—მორცხვად წაილაპარაკა დაბალ-დაბალმა ჯმუხმა კახელმა.

— ამხანაგო მეთაურო ხომ გვასწავლით წერა-კითხვას? თამამად ეკითხება ერთი ცვალებადელთაგანი მეთაურს.

პასუხი შესაფერი მიიღო. ცვალებადელები უფრო გამხიარულდენ და მოუხშირეს სიმღერას.

აქა იქ გაუმართავთ სადილი, იწვევენ მეთაურებს სოფლიდან მოტანილ საგზალზე. ბევრს თან წამოუღიათ ჩონგურებიც და დამღერიან სოფლებში შეთხზულ ლექსებს.

აგერ ერთი ჯგუფი. ჩონგურის ხმაზე ადგილზე უსომს ლეკურს მოწითური მხიარული სახის ცვალებადელი. ყველას ყურადღება მან მიიპყრო. მოხდენილად ათამაშებდა ბეჭებს, სცემდა მიწაზე ფეხებს და ადგილიდან კი არ იძროდა.

მხიარულებამ თანდათან იმატა. ცვალებადელები გათამამდენ, ყველაფერზე ეკითხებიან მეთაურებსა და ძველ წითელ არმიელებს.

—

ნაწილში სრულიად მოიყარეს თავი მიწერილმა ცვალებადელებმა. ცოტა კიდევ და საერთო განკარგულების თანახმად გაეშურენ გადასაკრეჭად. ძველი—სოფლიდან ჩამოყოლილი ტანსაცმელი ჩამოერთვათ. დაურიგდათ რუხი მაზარები და სხვა ტანსაცმელი. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის მხიარულებას. იჭერენ მაგრად ქამრებს. ისწორებენ ახალ ტანსაცმელს. ბევრი ვეღარც კი სცნობენ ერთმანეთს. აბანოში გასუფთავებული ახალგაზრდობა სულ სხვა გვარად გამოიყურებენ ეხლა.

ჯგუფ-ჯგუფად მიდიან მათი მოსვლის აღსანიშნავი კედლის გაზეთის წინ და კითხულობენ, ვინც კითხვა არ იცის ყურს უგდებენ, სმენად არიან გადაქცეული.

ვინ იცის რამდენი ფიქრები ტრიალებენ მათ თავში, ოცნებობენ თუ როგორი გათვითცნობიერებული დაუბრუნდებიან თავის სოფლებს. წითელი ყაზარმა შეასრულებს—ფრთებს შეასხამს მათ ოცნებას.

წითელი ყაზარმა თვალებს აუხელს მათ, დაანახებს მუშურგლეხური ხელისუფლების მტრებს—და მოკეთეს.

წითელი ყაზარმა მოუთხრობს მათ ბევრ რამეზე. შეასწავლის სამხედრო საქმეს, გაათვითცნობიერებს პოლიტიკურად.

მაშინ ხელგაშლით მიიღებს ცვალებადელებს თავის მშობლები უკან და თამამად ჩაებმებიან სოფლად წარმოებულ კულტურულ-პოლიტიკურ და სააღმშენებლო მუშაობაში.

ს.

წკიპურტები

(სამხკორთა წერილებიდან)

აქა ამბავი უეფასა და ყროყინზე

სალამო ჟამი იყო.

წვიმამ გადაიღო, ცა მოკრიალდა. აქა იქ კიდეც გამოჩნდენ ვარსკვლავნი.

დავიხურე ქუდი და გამოველ სასეირნოდ.

ხარბად ვსუნთქავდი სუფთა, მაცოცხლებელ ჰაერს.

აგერ გამოჩნდა ყაზარმაც.

ეტყობათ წითელ არმიელებს არ სძინავთ, ჟრიამული და ხმაური ისმის ყაზარმიდან.

—ვინაიდან შენ ვერ გაეცი პასუხი საკითხზე, ამიტომ გმართებს დაიყეფო ძაღლივით—მოისმა ამ დროს ყაზარმიდან.

—ამხანაგო! გამანთავისუფლე, შენი ჭირიმე არ შემიძლიან ვიყეფო, ძაღლი ხომ არ ვარ, ვერ დავიყეფებ—გაისმა წითელ არმიელის მუდარა.

ამას თან მოჰყვა ჩოჩქოლი, სიცილი, ხმაურობა, მუდარა და კიდევ ბევრი სხვა რამე. გავიდა ხანი და მოისმა ძაღლის ყეფა, რომელიც დაჰფარა სიცილმა. გონზე არ ვიყავ კარგათ მოსული, რომ მომესმა ყაზარმიდან ვირის ყროყინი და კარებში გამოჩნდა დარცხვენილი წითელი არმიელი. ჩემს დანახვაზე შეჩერდა და ჩაღუნა თავი.

—ამხანაგო, ამიხსენით თუ შეიძლება, რა ხდება ამჟამად ყაზარმაში.

—რაღა, რა ხდება, ამხანაგო, გამართეს საუბარი და შეკითხვების მიცემა. ვინც კარგ პასუხს ვერ გასცემს აყროყინებენ ვირივით და აყეფებენ ძაღლივით. აი მეც ვერ მიუგე ერთ პასუხზე და ვირივით დამაყროყინეს, ეს რასა გავს, ვინმემ უცხომ რომ გაიგონოს, რას იტყვის, სირცხვილია—სთქვა მართლა სირცხვილისაგან გაწითლებულმა წითელ არმიელმა.

— —

თქვენ რაღას იტყვით, მეგობრებო, ამის მომგონს უეჭველია თავში ბლომად ექნება ტვინი.

მისი ადგილი ვირის აბანოშია.

თქვენ, ჩემო კეთილნო, იცნობთ წითელ არმიელ გრიგოლ კარაკაშოვს?

უეჭველათ გეცნობებათ. იგი ცხენოსან ლეგიონის მოლაშქრეა და ძალიან ჭკვიანი და მოხერხებული პიროვნებაა.

—ამხანაგო კარაკაშოვ. ვინაიდან ჩვენ მივდივართ ბანაკათ, თქვენ დროებით დარჩებით აქ—უთხრა ამხ. კარაკაშოვს ესკადრონის თავმა.

კარაკაშოვსაც ეს უნდოდა. გაისტუმრა თუ არა ამხანაგები ბანაკად, იხელთა დრო და მოჰკურცხლა. დაიკარგა რამოდენიმე დღე, დაავიწყდა კიდეც, რომ იგი წითელ არმიელია. დახეტიალობს ქუჩებში კარაკაშოვი, მაგრამ ერთი რამე აწუხებს: უნდა როგორმე ყაზარმაში დარჩენილი ლოგინი და ტანისამოსი იგდოს ხელში.

ეს სურვილიც აუსრულდა: შაზხანას გარდა, რაც კი ჰქონდა მიღებული სახაზინო ნივთებიდან, ყველაფერი გამოაცოცა, გამოემშვიდობა ყაზარმას და...

—არ შერჩება კარაკაშოვს ასეთი საქციელი—ამბობენ მისი ამხანაგები—თუ თავის ნებით მოვა, ხომ კარგი, თუ არა და ცოცხალი იქნება თუ მკვდარი მაინც მოიძებნება. მალე ვიხილავთ კარაკაშოვს ვირის აბანოში.

მეც ამ აზრისა ვარ.

ელეაზარი.

ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

უკვე დაიწყეს მეცადინეობა.

მე-2 არტლეგიონი.

სამი დღეა, რაც ლეგიონში თავი შეიყარეს ახალწვეულ ცვალებადელებმა. მოსვლისთანავე დაურიგეს მათ ტანსაცმელი და დაყვეს ათეულებათ. დაუნიშნეს თავთავიანთი მეთაურები და დაიწყეს მეცადინეობა. თითეული ამხანაგი გულმოდგინეთ ეკიდება მეცადინეობას და რაც მთავარია მეტად ადვილად ითვისებენ ყველაფერს. სამხედრო მეცადინეობის გვერდით ასწავლიან პოლიტიკურ და სხვა დარგებში. მათი დაინტერესება ყველგან დიდია, ყველაფერს გულმოდგინეთ ეკიდებიან.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ყაზარმამ და იმანაც, რომ მოსვლისთანავე მისცეს მათ ახალი ტანსაცმელი.

ისინი საკმაოდ შეითვისებენ მეცადინეობის მთელ პროგრამას. ამის ნიშნები ბევრია.

გაუმარჯოს მათ საქმიანობას.

პ. კ—ძე.

მოსპეთ ნაკლულევანებანი

მოაგვარეთ ეს საქმე.

1-ლი ლეგიონის ბანაკში გასვლის შემდეგ, ნაწილის წითელარმიელებს მეტად გაუძნელდათ მშობლებთან წერილის გაგზავნის საქმე. წერილებს შტაბის ბეჭედს არტყამდენ და ამნაირად უფასოდ იგზავნებოდა. ეხლა ამის საშვალება არა გვაქვს. იძულებული ვხდებით ჩვენი წერილები ჯერ ბანაკში გადავგზავნოთ და იქედან კი მშობლებს ეგზავნებათ. ამას კი სჭირდება ერთი კვირა და ხშირად მეტიც. წერილებს ძლიერ აგვიანდებათ. საჭიროა გამონახონ მეთაურებმა რაიმე საშვალება—თუ შესაძლებელი იქნება ერთი ბეჭედი დაუთმონ მაინც აქ დარჩენილ ნაწილს, რომ ადგილი აღარ ექნეს ასეთ მოვლენას.

გ—ლი.

სამხკორის კუთხე

სამხედრო განყოფილების შესახებ სოფლის კედლის გაზეთებში

კედლის გაზეთში სამხედრო განყოფილების ძირითად ამოცანას შეადგენს—დაუახლოვოს მუშები და გლეხები წითელ არმიას და თვალსაჩინოთ გახადოს მათთვის წითელი ჯარის, ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა.

ჩვენში კედლის გაზეთების მეტად მცირე რიცხვს აქვთ სამხედრო განყოფილებები, ამიტომ ძნელია იმის თქმა თუ როგორ ასრულებენ ისინი ხსენებულ ძირითად ამოცანებს. მაგრამ ეხლა, როდესაც მოსახლეობის გასამხედროების საქმე მაგარ ნიადაგზე სდგება, სამხედრო განყოფილებები აუცილებელია ყველა კედლის გაზეთებისათვის და ხსენებულ ამოცანის სისრულეში მოყვანის გარდა ფართოდ უნდა იქნენ მიზიდული სამხედრო განყოფილებების მუშაობაში კერძო მოქალაქენიც.

სასურველია, რომ კედლის გაზეთის სამხედრო განყოფილებას განაგებდეს ცვალებადელი ან უვადო შვებულებაში წასული წითელარმიელი. სამხედრო განყოფილების გამგე შეყვანილი უნდა იქნეს კედლის გაზეთის სარედკოლეგიის შემადგენლობაში და სამხედრო განყოფილება მუდმივად უნდა იყოს გაზეთში.

სამხედრო განყოფილებების ძირითადი შინაარსი შემდეგნაირი უნდა იყოს:

1. სამხედრო კუთხის, ტირის, სამხედრო წრეების და სხვათა მუშაობის გაშუქება.
2. ცვალებადელის ცხოვრება, მისი მეურნეობა, მისი სამხედრო სწავლება და საზოგადოებრივი მუშაობა.
3. წვევამდელებისა და უვადო შვებულებაში დათხოვნილ წითელარმიელების ცხოვრება ყოველმხრივ.
4. წითელი არმიის ძირედი ნაწილების ცხოვრება.
5. მორიგი კამპანიები არმიაში: წლის თავები, დემობილიზაცია, გაწვევა, შეკრებები, აღრიცხვა და სხვა.
6. ცვალებადელ სამხკორის მუშაობა.
7. სამხედრო ტეხნიკისა და მომავალი ომის საკითხები.

ამ საკითხების წრე დაუსრულებლად შეიძლება გაფართოვდეს.

აუცილებელია მხოლოდ, რომ ზევით ჩამოთვლილი საკითხები ყოველთვის შუქდებოდეს კედლის გაზეთის სამხედრო განყოფილებებში.

სამხედრო განყოფილებას შეგვიძლია მრავალგვარი სათაურები მივსცეთ მაგალითად: „წითელარმიელისა და წითელი არმიის კუთხე“, „საგუშაგოზე“, „ჩვენი ტერსიტემა“ და სხვა.

ჩვეულებრივი მასალების განხილვასთან ერთად კედლის გაზეთების რედკოლეგიები უნდა არჩევდენ აგრეთვე სამხედრო კუთხის მასალებსაც.

სამხედრო განყოფილება მთლიანად უნდა სახავდეს იმ სამხედრო მუშაობას, რომელიც ტარდება სოფლებში ან ფაბრიკა-ქარხნებში.

ი. გ.

სხვადასხვა ამბები

ინვალიდთა არტელები

სახალხო უზრუნველყოფის კომისარიატმა მოაწყო მთელს საქართველოში ინვალიდთა არტელები.

მიმდინარე წლის 1-ლ იანვრისთვის არსებობდა 71 არტელი. ამ არტელებიდან დატოვებულ იქნა მხოლოდ 38, დანარჩენი დაიშალა, ვინაიდან არ შეეფარდებოდა თავის დანიშნულებას.

საქართველოს ექიმთა მე-4 კონგრესი

21 მაისს ტფილისის უნივერსიტეტის შენობაში გაიხსნება საქართველოს ექიმთა მე-4 კონგრესი.

კონგრესზე შეიკრიბება დაახლოებით 300-დი ექიმი. საქმიანი სხდომები გაიმართება საქართველოს მუზეუმში.

ინვალიდთა აღრიცხვა

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა აიყვანა აღრიცხვაზე 7.228 ინვალიდი: 914 დამსახურებული რევოლიუციონერია, 2.344—სამხედრო ინვალიდი, 2.907—შრომის ინვალიდი, 134—წითელ არმიელთა ოჯახები და 479—ღარიბები.

რევოლიუციონერ ინვალიდებს ეძლევა ყოველთვიურად გაძლიერებული პენსია.

შეცდომის გასწორება

გაზეთ „წითელ არმიელის“ 19 მაისის ნომერში მოთავსებულ მეორე წერილში—„მძიმე გაკვეთილი უნაყოფოთ არ ჩაივლის“ მესამე სვეტის მესამე სტრიქონში ქვევიდან გაიპარა შემდეგი კორექტორული შეცდომა. დაბეჭდილია: „ინგლისის მუშათა კლასი განიცდის მეტად მძიმე მომენტს თავისი ინტერესებისათვის ბრძოლაში, **მაგრამ საერთოდ** ის იძენს დიდ გამოცდილებას და სხვა... უნდა იყოს:

ინგლისის მუშათა კლასი განიცდის მეტად მძიმე მომენტს თავისი ინტერესებისათვის ბრძოლაში, **მაგრამ სამაგიეროდ** ის იძენს დიდ გამოცდილებას და სხვა.

უცხოეთის არმიებში

ფეხოსანი ჯარის მანქანიზაცია

მთელი ქვეყნის კაპიტალისტები ბევრს გაიძახიან განიარაღებაზე, მაგრამ სინამდვილეში უფრო მეტს აკეთებენ შეიარაღებისათვის. ისინი გულმოდგინეთ ამზადებენ თავისი არმიის რიგებს და აძლიერებენ მის შეიარაღებას. უცხოეთის გაზეთები ყოველდღიურად გვაწვდიან ცნობებს იმის შესახებ თუ როგორ იგონებენ ახალი სისტემის იარაღებს და უზარმაზარ გამანადგურებელ ტანკებს, ჰაეროპლანებს თუ ზარბაზნებს მომავალი ომის საჭიროებისათვის.

ამასთანავე ერთად დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ფეხოსან ჯარს. ხდება მისი რეორგანიზაცია და ომის ახალი პირობებისადმი შეგუება. თანამედროვე არტილერიის, მსწრაფ მსროლელ იარაღებისადა ავტომატიური შაშხანების შემოღების შემდეგ, ფეხოსან ჯარის მოქმედება ომის დროს მეტის მეტად გაძნელებულია. ამ ჟამად ფეხოსან ჯარს არ შეუძლია მასიურად ან შარში გაშლით აწარმოოს იერიშზე გადასვლა.

მსროლელები იძულებული ხდებიან იმოქმედონ ბრძოლაში ან ცალცალკე და ან მცირე შეჯგუფებებით. სწორედ ამიტომ ყველა არმიები ასეთი ჯგუფური ბრძოლის შესაძლებლობაზე აგებენ თავის ტაქტიკას.

თითეული მათგანი სცდილობს რაც შეიძლება მტკიცედ შეამჭიდროვოს და კარგად შეაიარაღოს ასეთი მცირე ჯგუფები.

საფრანგეთის არმიაში მაგალითად ს ბრძოლო ჯგუფი, რომელშიდაც შედის 12—15 კაცამდე, შეიარაღებული არიან შაშხანებით ერთი ხელის ტყვიამფრქვევით და ავტომატიური ტყვიამფრქვევით.

ამნაირად ნაწილი აწარმოებს შეტევაზე გადასვლას ტყვიამფრქვევებით და ჯგუფებით დარაზმული. უმთავრეს როლს თამაშობენ ეს ტყვიამფრქვევები, რომლებიც უშვებენ სასტიკ გამანადგურებელ ცეცხლს. ფეხოსან ჯარის მთელი მოქმედება ბრძოლის დროს გათვალისწინებულია ამ მექანიკური ცეცხლით. ასეთი მოპირდაპირის წინააღმდეგ მოქმედებისათვის საჭიროა კარგად მომზადებული და გაწვრთნილი ფეხოსანი ჯარი' რომელმაც კარგად უნდა იცოდეს ბრძოლის ტაქტიკა.

ხელით სატყორცნი გრანატა

ხელით სატყორცნი გრანატა თანდათან უფრო აუცილებელი იარაღი ხდება. თუ ნაწილში წინად ძლივს მოიპოვებოდენ მისი მტყორცნის მცოდნე სპეციალისტები, ამ ჟამად გრანატით შეიარაღებულია თითეული მსროლელი.

ამ მხრივ საყურადღებოა ინგლისის არმიაში შემოღებული ხელით სატყორცნი გრანატა. ის იმდენად პატარა არის, რომ მუჭაში იმალება, მაგრამ გამანადგურებელი ძალა უდიდესი აქვს. გასკდომის მომენტში ის იძლევა 150 ნამსხვრევს, რომლებსაც სათითეულოდ შეუძლიათ ადამიანისათვის სასიკვდილო ჭრილობის მიყენება.

სანგრებიდან სასროლი შაშხანა

ინგლისის არმიაშივე შემოღებული იქნა ახალი სისტემის შაშხანა, რომელიც იხმარება სანგრებიდან სროლის წარმოებისათვის. შაშხანა აღჭურვილია პერისკოპით, რომლიდანაც შეიძლება მიზანში ამოიღო საგანი შაშხანით. სროლის დროს, მსროლელი სრულიად ჩამალულია სანგარში და არ სჭირდება რომ ოდნავ მაინც ამოყოს თავი. ისედაც კარგად ასრულებს თავის მოვალეობას.

ახალი ქიმიური ქარხნები

მსოფლიო ომის დაწყებამდე, მომწამლავ ნივთიერებებს, როგორც არის. ქლორი და სხვა, საფრანგეთი არ ამზადებდა.

ომის დროს კი მოწყობილი იქნა 7 ქიმიური ქარხანა, რომლებშიდაც მზადდებოდა მხოლოდ ქლორი. ამ ჟამად საფრანგეთმა კიდევ მოაწყო 4 ქარხანა ქლორისა და სხვა მომწამლავ ქიმიურ ნივთიერებათა დასამზადებლად.

პასუხი სამხკორებს

მირზაიანცს. (1-ლი არტლეგიონი) თქვენი წერილი სამოსწავლოთ გასვლა, მივიღეთ და იბეჭდება. ხშირად მოიწერეთ ასეთი შინაარსის წერილები.

გ. წ—ს. თქვენი წერილი „ასეთ უსამართლობას ბოლო უნდა მოღოს“ ჩვენს გაზეთში არ დაიბეჭდება. გადაეცით კედლის გაზეთისათვის.

ობოლაძეს. თქვენი კორესპონდენციაც კარგი გამოსადეგია ადგილობრივი კედლის გაზეთისათვის.

მეცნიერება და ტეხნიკა

მიწის ქვეშა გემების გასავალი არხი

საფრანგეთში ეხლახან გაიხსნა ვსინის მიწის ქვეშა გემების სავალი არხი. ქ. მარსელიდან არხის მიმართულებით იწყება მთაგრეხილი **ნერტი** სახელწოდებით. საჭირო შეიქნა მისი გახვრეტა, გემების სავალი არხი—გვირაბის გაკეთება. თავისი სიდიდით ის განირჩევა ყველა მზგავს არხებისაგან. მისი სიგრძე უდრის 7.000 მეტრს, სიგანე 22 მეტრს და სიმაღლე კი 15 ნახევარ მეტრს. გვირაბის გავლის შემდეგ გემები შედიან მარსელის რეიდის ჩრდილოეთ დასავლეთის ნაწილში, სადაც თანდათანობით მოწყობილი დამბები იცავს მათ ზღვის ტალღებისაგან.

ელექტროსანათური უგამტაროთ

ამას წინად ამერიკაში დამზადებული იქნა ელექტრო სანათური, რომელიც ასრულებს თავის მოვალეობას უგამტაროთ.

სანათური წარმოადგენს აკუმულიატორების (ჭურჭელი, რომელიც დატენილია ელექტრო ენერგიით) წყებას და ინათება უშუალოდ მანძილიდან. ელსადგურიდან მიღებული სინათლე სანათურების მთელი რიგით თავს იყრის ერთად ერთგვარი ბადროს საშვალებით და ეს უკანასკნელი კი მიმართავს სინათლეს აღნიშნული სანათურისაკენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ ეს სანათური ბადროს საშვალებით მიღებულ სინათლის გაღიზიანებით ანათებს უშვალოთ.

გამომგონებელი ამტკიცებს, რომ ასეთი წესით ანთებულ სანათურს შეუძლია ანათოს ჩაუქრობლად სამი წლის განმავლობაში. თუ გამართლდა გამომგონებლის ცდები, ეს გარემოება მთელ გადატრიალებას მოახდენს ტეხნიკაში.

მფრინავი დუქანი

ნიუ-იორკის ერთ-ერთ უნივერსალურ მაღაზიამ მოაწყო მფრინავი დუქანი. ის წარმოადგენს საკმაო მოცულობის ჰაეროპლანს, რომელსაც მიაქვს ფართლეულობა და სხვა და სხვა საგნები, ისეთ ადგილებში, რომლებსაც არ უდგება გზები.

ფიქრობენ აგრეთვე მოაწყონ ჰაეროპლანებზე ამბულატორიები და შემნახველი სალაროები.

იზრუნე ჯანმრთელობაზე

ფილტვების ვარჯიში

საღი ფილტვები—ჯანმრთელობის თავდებია

ჩვენ ვსუნთქავთ ფილტვებით. მკერდის გაფართოების დროს ფართოვდება ფილტვებიც; ეს იმიტომ ხდება, რომ შესუნთქვით ჰაერი ჩადის ფილტვებში და ავსებს მას.

მკერდის შევიწროების ანუ მოკუმშვის გამო ზედმეტი ჰაერი ამოდის ფილტვებიდან სასუნთქი მილებით.

ფილტვებში ჩანასუთქი ჰაერი აძლევს სისხლს აუცილებელ საჭირო ნივთიერებას-ჟანგბადს და სამაგიეროდ ღებულობს სისხლიდან ჯანმრთელობისთვის მავნებელ ნივთიერებას—ნახშირ-მჟავა გაზს. რამდენადაც უკეთესად ხდება ფილტვებში ამ გაზების გაცვლა, მით უფრო მეტ ჟანგბადს ღებულობს ჩვენი ორგანიზმი, სხეული და მით უფრო თავისუფლდება ნახშირმჟავა გაზისაგან.

უნდა ისუნთქო ღრმად სუფთა ჰაერით, რომელიც თავისუფალი იქნება მავნე გაზების, ანაორთქლისა და მტვერისაგან.

ღრმა სუნთქვას ჩვენთვის სხვა მნიშვნელობაც აქვს. სხეულში სისხლის მიმოქცევა ღრმად სუნთქვის დროს უკეთესად სწარმოებს. სისხლი არსად არ ჩერდება, სწრაფად დაატარებს სხეულში მასაზრდოებელ ნივთიერებას და სწრაფადვე მიაქვს უკან სხეულის ყველა ნაწილიდან მავნებელი ნივთიერება.

მაგრამ ფილტვებისთვის საჭიროა კარგი ვარჯიში. სუსტი სუნთქვის დროს მთელი ფილტვი არ ფართოვდება, მისი ნაწილი უმოძრაოდ რჩება. ამ უმოძრაო ნაწილში ჩერდება გაფუჭებული სისხლი; თვით ფილტვი უმოძრაობის გამო ჰკარგავს მოქნილობას და ადვილად ნებდება ავადმყოფობას. ექიმების დაკვირვება გვეუბნება, რომ ფილტვების ტუბერკულოზი ანუ ჭლექი უფრო ხშირად იწყება ფილტვების ზემო ნაწილიდან, რომელიც ჩვეულებრივად სუსტად მუშაობს.

ვინც სუსტად სუნთქავს, ის ცუდად ავარჯიშებს ფილტვებს. ის სუსტად ავარჯიშებს თავის სასუნთქავ კუნთებსაც (მკერდზე და ზურგში). მის მკერდს არ შეუძლია ძლიერ გაფართოვდეს და შეიკუმშოს. ხოლო გაძლიერებულ მუშაობის დროს საჭიროა გაძლიერებული სუნთქვაც.

უნდა შევეჩვიოთ ღრმა სუნთქვას. სუნთქვა უნდა სწარმოებდეს მკერდისა და მუცლის კუნთების საშუალებით და აუცილებლად ცხვირით.

დღეში ორ-სამხელ აუცილებლად უნდა ივარჯიშო სუნთქვაში სასუნთქი კუნთებისა და ფილტვების გასავითარებლად. სხეული უნდა გეჭიროს მარჯვედ, მკერდი სწორად. უნდა ივარჯიშო სირბილსა და სწრაფ სიარულში.

საღი ფილტვები და ზომიერი, ღრმა სუნთქვა სუფთა ჰაერზე—საუკეთესო დამცველია ტუბერკულოზისაგან (ჭლექით დაავადებისაგან).

ლ. გ.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქაცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.